Deloitte.
Legal

საქართველო
Deloitte Legal - 22 იანვარი 2025



საქართველოს საკანონმდებლო სიახლეები იხელმძღვანელეთ კანონმდებლობით

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილება - არააუდიტორული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული შეზღუდვები

საქართველოს 2024 წლის 29 მაისს N4206 კანონის თანახმად „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდა ცვლილებები.

აუდიტორული კომპანიებისთვის და მათი კლიენტებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კანონში დამატებული 141 მუხლი, რომელიც ძალაში შევიდა 2025 წლის 1 იანვარს. მოცემული ცვლილება განსაზღვრულ შემთხვევებში ზღუდავს აუდიტორული ფირმის მიერ არსებული კლიენტისთვის არააუდიტორული მომსახურების გაწევას.

კერძოდ, აღნიშნული მუხლის თანახმად, აუდიტორულ ფირმას, რომელიც საზოგადოებრივი დაინტერესების პირის (შემდგომში სდპ) ფინანსური ანგარიშგების აუდიტს ახორციელებს, ან იმ ქსელის ნებისმიერ სხვა წევრს, რომელშიც ეს აუდიტორული ფირმაა გაერთიანებული, არ აქვს უფლება, აუდიტისადმი დაქვემდებარებულ იმავე სდპ-ის სუბიექტს, მის მშობელ საწარმოს ან მისი კონტროლისადმი დაქვემდებარებულ საწარმოს (საქართველოს ან ევროკავშირის წევრი ქვეყნის ფარგლებში) გაუწიოს კანონით განსაზღვრული არააუდიტორული მომსახურებები.

კანონის თანახმად, შეზღუდული არააუდიტორული მომსახურება მოიცავს შემდეგს:

01. საგადასახადო მომსახურება რომელიც დაკავშირებულია:

- საგადასახადო ანგარიშგების ფორმების ან/და საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფორმებისა და დანართების მომზადებასთან;
- ხელფასიდან/ანაზღაურებიდან საშემოსავლო გადასახადის დაკავებასთან;
- იმპორტის გადასახდელთან;
- სახელმწიფო სუბსიდიებისა და საგადასახადო შეღავათების იდენტიფიცირებასთან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანონმდებლობით განსაზღვრულია აუდიტორული ფირმის მიერ ასეთი მომსახურების გაწევა;
- საგადასახადო ორგანოების მიერ განხორციელებულ საგადასახადო კონტროლთან/ანალიტიკურ პროცედურებთან დაკავშირებულ მხარდაჭერასთან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულია აუდიტორული ფირმის მიერ ასეთი მომსახურების გაწევა;
- პირდაპირი, არაპირდაპირი და გადავადებული გადასახადების გამოთვლასთან;
- საგადასახადო კონსულტაციის გაწევასთან.

02. ხელმძღვანელობაში მონაწილეობა:

- მომსახურება, რომელიც გულისხმობს აუდიტირებული სუბიექტის ხელმძღვანელობაში ან გადაწყვეტილების მიღების პროცესში ნებისმიერი სახით მონაწილეობას.

03. ბუღალტრული მომსახურება:

- ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება, ბუღალტრული ჩანაწერებისა და ფინანსური ანგარიშგებების მომზადება;
- სახელფასო ანგარიშსწორების მომსახურება;
- ფინანსური ინფორმაციის მომზადებასთან ან/და კონტროლთან ან ფინანსური საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემების შემუშავებასა და განხორციელებასთან დაკავშირებული შიდა კონტროლის ან რისკების მართვის პროცედურების შემუშავება და განხორციელება.

04. ფინანსური ინფორმაციების მომზადება და IT სისტემების შემუშავება:

- ფინანსური ინფორმაციის მომზადებასთან ან/და კონტროლთან ან ფინანსური საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემების შემუშავებასა და განხორციელებასთან დაკავშირებული შიდა კონტროლის ან რისკების მართვის პროცედურების შემუშავება და განხორციელება.

05. შეფასების და იურიდიული მომსახურება:

- შეფასების მომსახურება, მათ შორის, აქტუარულ მომსახურებასთან ან სასამართლო პროცესის მხარდაჭერის მომსახურებასთან დაკავშირებით შეფასების განხორციელება;
- იურიდიულ საკითხებში მთავარი მრჩევლის როლის შესრულება;
- აუდიტირებული სუბიექტის სახელით მოლაპარაკებების წარმოება (წარმომადგენლობა);
- სასამართლო დავის გადაწყვეტის პროცესში ადვოკატის ფუნქციის შესრულება.

06. შიდა აუდიტთან დაკავშირებული მომსახურება:

- აუდიტირებული სუბიექტის შიდა აუდიტის ფუნქციასთან დაკავშირებული მომსახურება.

07. ფინანსური სერვისები:

- აუდიტირებული სუბიექტის დაფინანსებასთან, კაპიტალის სტრუქტურასა და განაწილებასთან, ინვესტირების სტრატეგიასთან დაკავშირებული მომსახურება, გარდა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული მარწმუნებელი მომსახურებისა, როგორიცაა აუდიტირებული სუბიექტის მიერ გამოცემულ პროსპექტთან დაკავშირებით მხარდაჭერის წერილის გაცემა.

08. ვაჭრობა და ანდერაიტინგი:

- აუდიტირებულ სუბიექტში წილების შეთავაზება, წილებით ვაჭრობა ან მათი გარანტირებული განთავსება (ანდერაიტინგი).

09. ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებული მომსახურება, რომელიც უკავშირდება:

- ისეთი კანდიდატების მოძიებას, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ აუდიტისადმი დაქვემდებარებული ბუღალტრული ჩანაწერების ან ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაზე ან/და მათთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შემოწმებაზე;
- სუბიექტისთვის ორგანიზაციული სტრუქტურის შედგენას;
- სუბიექტის ხარჯების კონტროლს.

გამონაკლისი შემთხვევები:

აუდიტორულ ფირმას უფლება აქვს, გასწიოს გარკვეული საგადასახადო და შეფასებითი მომსახურებები, თუ იგი იცავს დამოუკიდებლობის პრინციპს, ეს მომსახურებები ცალ-ცალკე ან ერთობლივად პირდაპირ გავლენას არ ახდენს ან არაარსებით გავლენას ახდენს აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე და აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ზემოქმედების შეფასება სრულად არის დოკუმენტირებული და განმარტებული „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 57-ე მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებულ, აუდიტის კომიტეტისთვის წარდგენილ დამატებით ანგარიშში.

სანქციები:

კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევისთვის შესაძლო სანქციები მოიცავს გაფრთხილებას და მის რეესტრში ასახვას, 5000 ლარამდე ფულად ჯარიმას, აუდიტორის/ აუდიტორული ფირმისთვის რეგისტრაციის გაუქმებას, და აუდიტორისათვის/აუდიტორული ფირმისათვის/გარიგების პარტნიორისათვის აუდიტის ჩატარების ან/და აუდიტორულ დასკვნაზე ხელის მოწერის და აუდიტორული ფირმის პარტნიორისათვის/აქციონერისათვის ფუნქციების შესრულების დროებით, არაუმეტეს 3 წლით აკრძალვას.

გავლენა აუდიტორულ ფირმებსა და მათ კლიენტებზე

განხილული ცვლილებები მიზნად ისახავს აუდიტორული ფირმების დამოუკიდებლობის ზრდას და მათი საქმიანობის ობიექტურობის დაცვას. არსებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, აუდიტორულმა ფირმებმა და მათმა კლიენტებმა უნდა განიხილონ და შეაფასონ მათი არსებული ურთიერთობები. ინტერესთა კონფლიქტის აცილების მიზნით, კომპანიებისთვის რეკომენდირებულია არააუდიტორული სერვისების ალტერნატიული პროვაიდერების მოძიება.

მულტინაციონალური საწარმოთა ჯგუფის ანგარიშგების წესის დამტკიცება

2025 წლის 1 იანვარს ძალაში შევიდა 2024 წლის 6 ივნისს გამოქვეყნებული საქართველოს ფინანსთა მინისტრის N188 ბრძანება, „მულტინაციონალური საწარმოთა ჯგუფის ანგარიშგების წესის“ დამტკიცების თაობაზე. აღნიშნული წესი ამოქმედდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 70[1] მუხლის საფუძველზე, რომელიც განსაზღვრავს მულტინაციონალური საწარმოთა ჯგუფის ანგარიშგებას.

ბრძანებით განისაზღვრა მულტინაციონალური საწარმოთა ჯგუფის ანგარიშის საგადასახადო ორგანოში დეკლარირების ვალდებულებასთან დაკავშირებული პირობები, ასევე განისაზღვრა მულტინაციონალური საწარმოთა ჯგუფის ანგარიშის მომზადების წესი, საგადასახადო ორგანოსთვის ინფორმაციის შეტყობინების ვალდებულების პირობები და დეკლარირების დრო. დეტალური განმარტებები ამ საკითხთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ სსკ-ის 70[1] მუხლში და ფინანსთა მინისტრის N188 ბრძანებაში.

,,სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებაში შესული ცვლილებები - მშენებლობით მიღებული შემოსავლის დაბეგვრა

2024 წლის 23 დეკემბრის საქართველოს მთავრობის დადგენილებით N436 ცვლილება შევიდა 2010 წლის 29 დეკემბრის საქართველოს მთავრობის დადგენილებაში N415 „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ“. ცვლილება ამოქმედდება 2025 წლის 1 თებერვლიდან.

ცვლილების შესაბამისად მცირე ბიზნესის სპეციალური დაბეგვრის რეჟიმით აღარ დაიბეგრება ფიზიკურ პირების მიერ საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობის მომსახურების, სამოქალაქო მშენებლობის მომსახურების ან/და სპეციალიზებული სამშენებლო მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავალი, თუ აღნიშნული მომსახურების მიმღებს წარმოადგენს საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული საწარმო, ორგანიზაცია ან მეწარმე ფიზიკური პირი. მცირე ბიზნესის სპეციალური დაბეგვრის რეჟიმით მიღებული შემოსავალი იბეგრება 1% და 3 %-ით, ხოლო ზემოთ განხილულ შემთხვევაში მიღებული შემოსავალი 2025 წლის 1 თებერვლიდან დაიბეგრება საერთო წესით - 20%-ით.



საკონტაქტო ინფორმაცია

შეკითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მიმართოთ დელოიტის საქართველოს ოფისის შესაბამის თანამშრომლებს:



გიორგი თავართქილაძე
საგადასახადო და იურიდიული დეპარტამენტის დირექტორი
gtavartkiladze@deloitte.ge



რუსუდან ოთიაშვილი
იურიდიული სამსახურის უფროსი
rotiashvili@deloitte.ge

თბილისი

Tel: +995 (32) 224 45 66
Fax: +995 (32) 224 45 69
www.deloitte.ge

ბიზნეს ცენტრი სითი თაუერი
ვაჟა-ფშაველას გამზ. 70, მე-16 სართული
თბილისი, 0186, საქართველო
საქართველო

Deloitte.
Legal

deloitte.ge

დელოიტი გულისხმობს ერთ ან რამდენიმე დელოიტ ტუშ ტომაცუ ლიმიტედის კომპანიას ("DTTL"), მისი წევრი კომპანიების გლობალურ ქსელს და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს (ერთობლივად „ორგანიზაცია დელოიტი"). DTTL (რომელიც ასევე მოიხსენება როგორც გლობალური ქსელი „დელოიტი") და მისი ყოველი წევრი წარმოადგენს იურიდიულად დამოუკიდებელ ცალკე პირს, რომელთაც არ აქვთ უფლება აიღონ ერთმანეთის ვალდებულებები მესამე პირთან მიმართებაში. DTTL და მისი ყოველი წევრი კომპანია და მასთან დაკავშირებული ორგანიზაცია პასუხისმგებელია მხოლოდ საკუთარ და არა ერთმანეთის ქმედებებსა და უმოქმედობებზე. DTTL კლიენტებს არ უწევს სერვისის მიწოდებით. მეტი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ჩვენს ვებ-გვერდს **www.deloitte.com/about**.

დელოიტი არის აუდიტორული და მარწმუნებელი, საგადასახადო და იურიდიული, საკონსულტაციო, ფინანსური რჩევების და რისკების მართვის მომსახურებების წამყვანი მიმწოდებელი. ჩვენ კლიენტებს შორისაა Fortune Global 500-ის დაახლოებით 90% და ასევე, ათასობით კერძო სექტორის კომპანია. ჩვენი პროფესიონალები უზრუნველყოფენ ხანგრძლივი და გაზომვადი შედეგების მიღწევას, რაც ამყარებს საზოგადოების რწმენას კაპიტალის ბაზრების მიმართ, ეხმარება კლიენტებს გარდაქმნასა და განვითარებაში და საფუძველს უყრის ძლიერ ეკონომიკას, სამართლიან საზოგადოებას და მდგრად განვითარებას. დელოიტის ისტორია 175 წელზე მეტს ითვლის და წარმოდგენილია 150-ზე მეტ ქვეყანაში. დელოიტის დაახლოებით 415 000 პროფესიონალი მთელს მსოფლიოში მუშაობს იმ შედეგების მისაღწევად, რომლითაც ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ. დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ჩვენს ვებ- გვერდს **www.deloitte.com**.

ეს შეტყობინება მოიცავს მხოლოდ ზოგად ინფორმაციას და შესაბამისად, არცერთი, დელოიტ ტუშ ტომაცუ ლიმიტედის კომპანია ("DTTL"), მისი წევრი კომპანიების გლობალური ქსელი და მასთან დაკავშირებული ორგანიზაციები (ერთობლივად წოდებულნი, როგორც „ორგანიზაცია დელოიტი") ამ შეტყობინების საფუძველზე არ ახორციელებს პროფესიულ კონსულტაციებს და მომსახურებას. რაიმე გადაწყვეტილების მიღებამდე ან ქმედების განხორციელებამდე, რომელიც გავლენას იქონიებს თქვენს ფინანსებსა და ბიზნესზე, კონსულტაცია უნდა გაიაროთ კვალიფიციურ კონსულტანტთან.

დელოიტ ტუშ ტომაცუ ლიმიტედი (DTTL), მისი წევრი კომპანიები და მასთან დაკავშირებული ორგანიზაციები, თანამშრომლები და აგენტები არ იძლევიან არანაირ პირდაპირ ან ნაგულისხმევ რწმუნებას ან გარანტიას ამ შეტყობინებაში მოცემული ინფორმაციის სიზუსტესა და სისრულეზე და არ არიან პასუხისმგებელი რაიმე დანაკარგზე ან ნებისმიერი ზიანზე, რომელიც პირდაპირ ან ირიბად შეიძლება წარმოიქმნას ნებისმიერ პირთან მიმართებაში, რომელიც ეყრდნობა ამ შეტყობინებას. DTTL და მისი წევრი კომპანიები და მასთან დაკავშირებული ორგანიზაციები არიან იურიდიულად დამოუკიდებელი ცალკე პირები.

@ 2025 შპს დელოიტი და ტუში. ყველა უფლება დაცულია.